მწვანე ალტერნატივა

0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

1 ნოემბერი, 2018
# 04/03-673

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

ჩვენი ა.წ. 30 ოქტომბრის 04/06-229 წერილით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი პროცედურების მნიშვნელოვან დარღვევებზე ერთი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე მოგახსენეთ.

ამჯერად, გაცნობებთ საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების გამოქვეყნების და საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების (ამჯერად მხოლოდ ვებ-გვერდზე) პროცედურების სისტემატიურ დარღვევაზე - დოკუმენტები და განცხადებები დროულად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ქვეყნდება.

დანართში წარმოგიდგენთ ამჟამად მიმდინარე პროცესების (კომენტირებისათვის დოკუმენტების გამოქვეყნებისა და საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების) დარღვევით მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური დარღვევებით წარიმართა თითქმის ყველა უკვე დასრულებული წარმოება.

კვლავ ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილების მიღებისა პროცესისა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად კანონით დადგენილი პროცედურების მიმართ მსგავსი, უკიდურესად არასერიოზული და უპატივცემულო დამოკიდებულება დაუშვებელია და საჭიროებს ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

დანართი: 6 ფურცელი

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი

## დოკუმენტების გამოქვეყნება განსახილველად

| განცხადების დასახელება | გამოქვეყნების თარიღი | სამინისტროს მიერ განსაზღვრული თარიღი მოსაზრებების წარსადგენად | კოდექსით განსაზღვრული ვადა | კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| სკრინინგის განცხადება - ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG GOLD“-ის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 26.10.2018 | 2018 წლის 2 ნოემბერი | განთავსებიდან 7 დღე | 2018 წლის 6 ნოემბერი |
| სკრინინგის განცხადება - დმანისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG GOLD“-ის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 26.10.2018 | 2018 წლის 2 ნოემბერი | განთავსებიდან 7 დღე | 2018 წლის 6 ნოემბერი |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - დუშეთის მუნიციპალიტეტში, შპს „სოლო ენერჯის“ ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი | 29.10.2018 | 2018 წლის 16 ნოემბერი | განთავსებიდან 15 დღე | 2018 წლის 19 ნოემბერი |
| სკრინინგის განცხადება - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობის პროექტი | 29.10.2018 | 2018 წლის 6 ნოემბერი | განთავსებიდან 7 დღე | 2018 წლის 7 ნოემბერი |
| სკრინინგის განცხადება - ქ. ქუთაისში, შპს „კონსტანტას“ მდინარე ოღასკურას ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტი | 29.10.2018 | 2018 წლის 6 ნოემბერი | განთავსებიდან 7 დღე | 2018 წლის 7 ნოემბერი |
| სკრინინგის განცხადება - ქ. თბილისში, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ექსპლუატაციაში შეტანილი ცვლილებების პროექტი | 30.10.2018 | 2018 წლის 7 ნოემბერი | განთავსებიდან 7 დღე | 2018 წლის 8 ნოემბერი |

| განცხადების დასახელება | გამოქვეყნების თარიღი | სამინისტროს მიერ განსაზღვრული თარიღი მოსაზრებების წარსადგენად | კოდექსით განსაზღვრული ვადა | კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| სგშ - სკრინინგის განცხადება - „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტი | 31.10.2018 | 2018 წლის 8 ნოემბერი | განთავსებიდან 7 დღე | 2018 წლის 9 ნოემბერი |
| სკრინინგის განცხადება - მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების თაობაზე | 25.10.2018 | 2 ნოემბერი, 2018 | 7 დღე | 5 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „პოლივიმის“ პოლიესტერის სინთეზური ბოჭკოს საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი | 24.10.2018 | 13 ნოემბერი, 2018 | 15 დღე | 14 ნოემბერი, 2018 |
| მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება - გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „აშკავეთი“-ს გაჯის საამქროს პროექტი | 22.10.2018 | 17 ნოემბერი, 2018 | 30 კალენდარული დღე | 21 ნოემბერი, 2018 |
| მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება - ქ. თელავში, ი/მ „სოსო არჩემაშვილი“-ს თევზსაშენი ტბორების საქმიანობა | 19.10.2018 | 16 ნოემბერი, 2018 | 30 კალენდარული დღე | 18 ნოემბერი, 2018 კვირაა, ამიტომ 19 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „ჩირინას“ ბროილერის კომპლექსის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი | 18.10.2018 | 7 ნოემბერი, 2018 | 15 დღე | 8 ნოემბერი, 2018 |

| განცხადების დასახელება | გამოქვეყნების თარიღი | სამინისტროს მიერ განსაზღვრული თარიღი მოსაზრებების წარსადგენად | კოდექსით განსაზღვრული ვადა | კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება - ქ. ბათუმში, შპს „გზები“-ს ასფალტის საწარმოს პროექტი | 18.10.2018 | 10 ნოემბერი, 2018 | 30 კალენდარული დღე | 17 ნოემბერი (შაბათია), ამიტომ 19 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 10.6კმ - 20.6კმ-ის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 17.10.2018 | 6 ნოემბერი, 2018 | 15 დღე | 7 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 20.6კმ - 29.5კმ-ის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 17.10.2018 | 6 ნოემბერი, 2018 | 15 დღე | 7 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 29.5კმ - 40.9კმ-ის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 17.10.2018 | 6 ნოემბერი, 2018 | 15 დღე | 7 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის განცხადება და ანგარიში - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 48.6კმ - 52.3კმ - ის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 17.10.2018 | 6 ნოემბერი, 2018 | 15 დღე | 7 ნოემბერი, 2018 |
| მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება - ქ. ხაშურში, შპს „ქსენიიას“ ფენოლფორმალდეჰიდური ფისის მიღებისა და მის ბაზაზე „ყვავილის“ ღრუბლის დამამზადებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 10.10.2018 | 7 ნოემბერი, 2018 | 30 კალენდარული დღე | 9 ნოემბერი, 2018 |

## საჯარო განხილვები

| განცხადების დასახელება | გამოქვეყნების თარიღი | საჯარო განხილვის სამინისტროს განსაზღვრული თარიღი | გამოქვეყნების კოდექსით განსაზღვრული ვადა | ჩატარების კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| განცხადება სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის გადადების შესახებ - ზემო იმერეთსა და რაჭის მუნიციპალიტეტებში, საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 10.6კმ-20.6კმ და 20.6კმ-29.5კმ მონაკვეთების მშენებლობა რეკონსტრუქციის და ესპლუატაციის პროექტი | 31.10.2018 | 9 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა | 14 ნოემბერი, 2018 |
| განცხადება სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის გადადების შესახებ- ზემო იმერეთსა და რაჭის მუნიციპალიტეტებში, საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 29.5კმ-40.9კმ მონაკვეთების მშენებლობა რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტი | 31.10.2018 | 8 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა | 14 ნოემბერი, 2018 |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. რუსთავში, შპს „ეი-ემ-ბი ალოის“-ის ფეროშენადნობთა საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი | 30.10.2018 | 22 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა | 27 ნოემბერი, 2018 |

| განცხადების დასახელება | გამოქვეყნების თარიღი | საჯარო განხილვის სამინისტროს განსაზღვრული თარიღი | გამოქვეყნების კოდექსით განსაზღვრული ვადა | ჩატარების კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. რუსთავში, შპს „ეკო ოილის“ ინდუსტრიული ზეთების მეორადი გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 30.10.2018 | 7 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა | 13 ნოემბერი, 2018 |
| განცხადება ონის მუნიციპალიტეტში შპს „ჭიორა ჰესის“ 15.85 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის განახლებული საჯარო განხილვის შესახებ | 30.10.2018 | 8 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა | 13 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის განახლებული თარიღი - ონის მუნიციპალიტეტში შპს „ჭიორა ჰესის“ 15.85 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 29.10.218 | 8 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა | 12 ნოემბერი, 2018 |
| სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა-ზემო იმერეთსა და რაჭის მუნიციპალიტეტებში, საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის 40.9კმ - 48.6კმ მონაკვეთების მშენებლობა რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტი | 26.10.2018 | 6 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა | 9 ნოემბერი, 2018 |

| განცხადების დასახელება | გამოქვეყნების თარიღი | საჯარო განხილვის სამინისტროს განსაზღვრული თარიღი | გამოქვეყნების კოდექსით განსაზღვრული ვადა | ჩატარების კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი |
|---|---|---|---|---|
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა - თერჯოლის მუნიციპალიტეტში შპს „ექსიმგრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) მოწყობისა და ექსპლუატაციის” პროექტი | 26.10.2018 | 22 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა | 23 ნოემბერი, 2018 |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ 35 საჰაერო-საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის - „მეწიეთის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი | 25.10.2018 | 20 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა | 22 ნოემბერი, 2018 |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. ჭიათურაში, შპს „ნაგუთი 2014“-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობისა და ექსპლუატაციის” პროექტი | 16.10.2018 | 5 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა | 13 ნოემბერი, 2018 |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა - მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ „110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის ,,მესტიაჭალა 1,2’’-ის მშენებლობის და არსებული ეგხ ,,იფარი-მესტია’’-ს რეკონსტრუქციის“ პროექტი | 15.10.2018 | 9 ნოემბერი, 2018 | ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა | 12 ნოემბერი, 2018 |